

13/02/2026



MES 1 26 0000160579

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 30 იანვარს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=88449151211>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო)
წევრები:**

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

ანა აროშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი

ნანა ხითარიშვილი

თეკლე ცუცქირიძე

თამარ ჯანგულაშვილი

შოთა კოჩაძე

ტიტე ბოლქვაძე

ზურაბ მესხიძე

ხათუნა ჩომახიძე

თამილა გრძელიშვილი

მზია ბაკურიძე

მაია ხურცილავა

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი

კოლეჯის დირექტორი - რაინდი ლომაია

კოლეჯის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი - ნათია მაწკეპლაძე

კოლეჯის სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი- სალომე ლომაია

სსიპ კოლეჯი აისი

დირექტორი - მალხაზი ასლამაზაშვილი

დირექტორის მოადგილე სასწავლო საწარმოო დარგში - დავით პაპაშვილი

ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა ბერიაშვილი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

რექტორი - სოფიო მაჭარაშვილი

რექტორის მოადგილე - ილია იაკობაშვილი

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - ზურაბ ლობჯანიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ალინა კუპრავა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №1280227 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №1280227 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქეთევან ჭუჭულაშვილს და სთხოვა, წარმოედგინა აღნიშნული საკითხი.

ქეთევან ჭუჭულაშვილის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში — ცენტრი) 2026 წლის 12 იანვარს დარეგისტრირდა საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ წერილი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტების რაოდენობა და სახელწოდება).

პროგრამის განხორციელების ადგილები:

- ქ. თბილისი, ბაქრადის ქ. №6
- ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა კრედიტების რაოდენობა:

- არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, ქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 55 კრედიტი;
- არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის — 70 კრედიტი.

დაწესებულების გადაწყვეტილებით, მოდიფიცირებული პროგრამით სწავლება განხორციელდება 2026 წლის მიღებისთვის. დაწესებულებამ ითხოვა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღნიშნული პროგრამისთვის პარამეტრების ცვლილებასთან დაკავშირებით და ცენტრს აცნობა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №1280227 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №1280227 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №1280227 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების №1280227 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

მეორე საკითხი: „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ქეთევან ჭუჭულაშვილს და სთხოვა, წარმოედგინა აღნიშნული საკითხი.

ქეთევან ჭუჭულაშვილის განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში — ცენტრი) 2025 წლის 25 დეკემბერს დარეგისტრირდა სსიპ კოლეჯი „აისის“ წერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების — „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „იატაკისა და ფილების სამუშაოები“, „ელექტრობა“ და „მებაღეობა“ — პაკეტი, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან.

აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები.

პროგრამის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

პროგრამის სახელწოდება: „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 55 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 70 კრედიტი

პროგრამის სახელწოდება: „იატაკისა და ფილების სამუშაოები“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 81 კრედიტი

- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 96 კრედიტი

პროგრამის სახელწოდება: „ელექტროობა“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 66 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 81 კრედიტი

პროგრამის განხორციელების ადგილი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

პროგრამის სახელწოდება: „ელექტროობა“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 66 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 81 კრედიტი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა

პროგრამის სახელწოდება: „იატაკისა და ფილების სამუშაოები“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 81 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 96 კრედიტი

პროგრამის სახელწოდება: „მებაღეობა“

- კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 85 კრედიტი
- კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 115 კრედიტი
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 115 კრედიტი
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 145 კრედიტი

დაწესებულების გადაწყვეტილებით, მიმდინარე ჯგუფები სწავლას დაასრულებენ ძველი პროგრამების ფარგლებში, რაც შეეხება ყველა მოდიფიცირებულ პროგრამას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პროგრამებში ასახულია საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვებული მოდულების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა, დაწესებულებას ცენტრში არ წარმოუდგენია პროფესიული პროგრამების დისტანციურად სწავლების წესი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის №143/ნ ბრძანების — „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ — მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია განსაზღვროს დისტანციური სწავლების პროცესის ეტაპები, ჩართულ პირთა პასუხისმგებლობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის და დაწესებულებას არ მოუმართავს ცენტრისთვის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი სასწავლო პროცესის დისტანციური ფორმით განხორციელებისთვის. მოდულების დისტანციურად განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი წესის შემუშავებას და მის ცენტრში დადგენილი წესით წარდგენას.

დაწესებულებამ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული პროგრამებისთვის პარამეტრების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 N982235 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „სსიპ კოლეჯი „აისის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის N982235 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის", "იატაკისა და ფილების სამუშაოების", "ელექტრობისა" და "მებაღეობის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების №982235 მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

საბჭოს წევრი გიორგი ვეკუა შემოუერთდა საბჭოს სხდომას.

მესამე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ქალბატონ ნათია ბუთხუხს ჰქონდა აცილება. საბჭოს მდივნად განისაზღვრა ეკატერინე გიგაშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 18/11/2025 წლის N1635920 ბრძანების (ცვლილება შესულია 12 დეკემბრის 1714626 ბრძანებით) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (თბილისი, საჩხერე), დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ქალაქ თბილისში მისამართებზე: წერონისის ქ. N208; ც. დადიანის ქ. N 28; გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი N10) და ქ. საჩხერეში მისამართი: საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №50ა,52. ვიზიტი ქ. თბილისში განხორციელდა 9-12 დეკემბერს, ხოლო ქ. საჩხერეში 15-17 დეკემბერს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე, განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში – დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიერ დანერგილია ეფექტიანი მართვის მექანიზმები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები, რაც წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ციფრული მართვის სისტემების გამოყენებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სერვისებსა და რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ სასწავლო პრაქტიკას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ განხორციელებული ინიციატივები სასწავლო პროცესის მართვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პრაქტიკული სწავლების

მიმართულებით ნათლად ასახავს დაწესებულების პასუხისმგებლიან მიდგომას ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისადმი.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ ციფრულ პლატფორმას და სრულად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, მართვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. სისტემა აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ოპერატიულ და სტრუქტურირებულ უკუკავშირს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და პროფესიულ სტუდენტებს შორის, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და მართვის ეფექტიანობას. სისტემა მოიცავს პროფესიული სტუდენტების მართვის სრულ ციკლს, მათ შორის სტუდენტების დამატებას, მონაცემების რედაქტირებას, სტატუსების (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, კვალიფიკაციის მინიჭება) მართვასა და შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებების ასახვას. პროფესიული სტუდენტის პირად გვერდზე თავმოყრილია პირადი ინფორმაცია, სწავლის შედეგების დადასტურების ყველა მტკიცებულება, ატვირთულია მოდულური სასწავლო მასალები, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები. ამასთანავე, სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაცემების მართვას, მათ შორის პირადი ინფორმაციის აღრიცხვას, სასწავლო მოდულების განაწილებას, ტესტური დავალებების შექმნა-რედაქტირებას, ტესტირების პროცესის მართვას (აქტივაცია/დეაქტივაცია, პაროლით დაცვა) და თითოეული სტუდენტის შეფასების შედეგების დაფიქსირებას. დამატებით, ინტეგრირებული შეტყობინების მექანიზმი უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. აღნიშნული ელექტრონული სისტემა წარმოადგენს აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას და სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფისა და თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნებს.

პრაქტიკული სწავლება ელექტრონობის პროფესიულ პროგრამაში.

ელექტრონობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით და სტუდენტური აქტივობის კომპონენტის გამოყენებით, შექმნილია სამი აქტიური სასწავლო სტენდი და ერთი ელექტრონერგიის გენერაციის მაკეტი. აღნიშნული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ზრდის სწავლების პრაქტიკულ ღირებულებას და უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხო და ეფექტიანი საქმიანობისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED) და ელექტრონობის სასწავლო სტენდები/მაკეტი წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ზრდის საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობას, ამლიერებს სტუდენტების პრაქტიკულ კომპეტენციებს, უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურ მიახლოებას და ამაღლებს სტუდენტების უსაფრთხოების, პასუხისმგებლობისა და პროფესიული მზაობის დონეს.

სასწავლო რესურსების განვითარება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამაში.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემიამ მკაფიოდ გამოავლინა დარგში სპეციალიზებული სასწავლო ლიტერატურის სიმწირე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ გავრცელებულ გამოწვევას აღნიშნულ მიმართულებაში. აღნიშნული გარემოების სრულად

გააზრების საფუძველზე, აკადემიამ მიიღო პროაქტიური გადაწყვეტილება და დააფინანსა პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დარგის სპეციალისტების მიერ სასწავლო სახელმძღვანელოების შემუშავება.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული და გამოცემულია სამი სახელმძღვანელო: „შრომისა და საექსპლუატაციო გარემოს უსაფრთხოება: საფრთხეები, გამომწვევი ფაქტორები, რისკების აღმოფხვრა და შემცირების გზები“ (2018); ორენოვანი სასწავლო ლიტერატურა „შრომის უსაფრთხოებაში არსებული ტერმინთა განმარტება და სამართლებრივი მიმოხილვა“ (2019); „სიმაღლეზე მუშაობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“ (2025). დაფინანსებული სახელმძღვანელოები სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის მიზნებსა და მოდულების შინაარსს, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის სისტემურ მიწოდებას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული რესურსები ამ ეტაპზე წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ და სავალდებულო კომპონენტს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების პრეზენტაციებზე მოწვეული იყვნენ როგორც აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე, დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები, ხოლო აღნიშნული ლიტერატურა აკადემიამ მათ უსასყიდლოდ გადასცა. ეს პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს დაწესებულების პასუხისმგებლიან მიდგომას როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ისე დარგობრივი ცოდნის გავრცელებისა და განვითარების მიმართულებით.

ექსპერტთა შეფასებით, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ფარგლებში აკადემიის მიერ ინიცირებული და დაფინანსებული სასწავლო სახელმძღვანელოების შემუშავება წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რესურსების შესაბამისობას თანამედროვე დარგობრივ მოთხოვნებთან და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასების შედეგად ხარვეზები არ გამოვლენილა და არ გაცემულა არც შესაბამისობის და არც განმავითარებელი რეკომენდაციები. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით ქეთევან ბოტკოველმა დეტალურად მიმოიხილა აკადემიის მისია და სტრატეგიული განვითარება. მისი განმარტებით, შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ მისია, რომელიც გულისხმობს მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობასა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას, სრულ თანხვედრაშია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის პრიორიტეტებთან. მისიაში მკაფიოდ არის აქცენტირებული ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია, რაც დაწესებულების როლს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე განსაზღვრავს.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა აკადემიის ხედვასა და ღირებულებებზე. აღინიშნა, რომ 2025 წლისთვის დასახული მიზანი – აკადემია ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან – მიღწეულია, რასაც ადასტურებს საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 სერტიფიკატის ფლობა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა ინფრასტრუქტურულ განვითარებასაც, კერძოდ, 2023 წელს საჩხერეში 2900 მ² ფართობის კამპუსისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობას, რითაც გაიზარდა განათლების ხელმისაწვდომობა რეგიონში. აკადემიის ღირებულებები –სამართლიანობა, პიროვნებაზე ორიენტირებულობა და პროფესიონალიზმი – სრულად არის გაზიარებული დაინტერესებული მხარეების მიერ, რაც დასტურდება საჯაროობით, ვებგვერდზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობითა და პერსონალთან თუ სტუდენტებთან გამართული სისტემატური შეხვედრებით.

სტრატეგიული განვითარების ნაწილში ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიაში მოქმედებს დაგეგმვის გამართული პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან (2022–2029) სტრატეგიულ

და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. პროცესი არის თანამონაწილეობითი და ითვალისწინებს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის დამსაქმებლებისა და სტუდენტების) ჩართულობას. დაგეგმვა ეფუძნება SWOT და PEST ანალიზებს, ხოლო მიზნები და ამოცანები გაწერილია კონკრეტული ინდიკატორებითა და რესურსებით, რაც სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ექსპერტმა ისაუბრა მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე. მისი თქმით, აკადემიაში დანერგილია ეფექტიანი მექანიზმი: სამოქმედო გეგმების შესრულება მოწმდება წელიწადში ორჯერ (შუალედური და საბოლოო ანგარიშებით), ხოლო შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ვებგვერდზე (ხელმისაწვდომია 2017 წლიდან დღემდე არსებული ანგარიშები). ექსპერტმა დაადასტურა, რომ მონიტორინგის შედეგებზე დაწესებულება ახდენს სათანადო რეაგირებას – საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმების კორექტირება, ვადების გადახედვა ან აქტივობების ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის მოქნილობასა და განვითარების უწყვეტობას. შეფასების თანახმად, პირველი სტანდარტი სრულად შეესაბამება მოთხოვნებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაწესებულებაში სრულად არის დაცული. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, აკადემიის შიდა რეგულაციები – „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები“ და „ეთიკის კოდექსი“ (ყველა დამტკიცებული 2025 წლის 25 აგვისტოს) – უზრუნველყოფს სტუდენტთა სამართლებრივ გარანტიებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა როგორც თბილისის, ისე საჩხერის ფილიალებში 2025 წლის საშემოდგომო მიღების დოკუმენტაცია და დაადასტურა, რომ ჩარიცხვის პროცედურები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პრაქტიკული მოსინჯვა, მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებით, აპლიკანტები ჩარიცხვის პროცესსა და აკადემიის მხარდაჭერას დადებითად აფასებენ.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა სტუდენტთა ინფორმირებულობის მაღალ დონეს. მისი თქმით, სტუდენტები კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებსა და დაცვის მექანიზმებს, რასაც ხელს უწყობს სწავლის დაწყებისას გამართული საინფორმაციო შეხვედრები, გზამკვლევების გადაცემა და ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი (მათ შორის, არასრულწლოვანთა შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით). აკადემიაში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების სისტემა, თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებაში აპელაციის ფაქტი ჯერ არ დაფიქსირებულა. ასევე, გამართულად მუშაობს მობილობის (შიდა და გარე) მექანიზმები და სტუდენტის სტატუსის მართვის პროცედურები. კვლევებით გამოიკვეთა, რომ სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებია.

ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა მხარდაჭერის ღონისძიებებზე. დადგინდა, რომ აკადემიაში ფუნქციონირებს ეფექტიანი საკონსულტაციო სისტემა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაიცემა გონივრულ ვადებში, რაც დასტურდება გაცემული ცნობებითა და სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებით (2021-2025 წწ). რაც შეეხება სტუდენტურ ინიციატივებს, ბიუჯეტში გამოყოფილია შესაბამისი თანხები. მართალია, პირდაპირი მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან დაფინანსებაზე არ ყოფილა, თუმცა აკადემია, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე, თავად აფინანსებს სხვადასხვა აქტივობას: ტრენინგებს, სპორტულ შეჯიბრებებსა და შემეცნებით ღონისძიებებს. ასევე, მოქმედებს სტუდენტთა წახალისების სისტემა.

ქეთევან ბოტკოველმა მიმოიხილა კარიერული მხარდაჭერის სერვისები. აკადემია აქტიურად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიებზე სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სპეციალური გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით. პერიოდულად ტარდება ტრენინგები (CV-ის შედგენა, გასაუბრების ტექნიკები) და დასაქმების ფორუმები როგორც თბილისში, ისე საჩხერეში. 2021-2025 წლების კვლევებით დასტურდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, ხოლო 2025 წლის დამსაქმებელთა გამოკითხვით დგინდება, რომ

პარტნიორი ორგანიზაციები კმაყოფილნი არიან აკადემიის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებითა და პრაქტიკული უნარებით. შეფასების შედეგად, მესამე სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა, დეტალურად მიმოიხილა პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა. მისი განცხადებით, დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა გამიჯნული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რექტორის 2025 წლის 19 მაისის №1/28 ბრძანებით განხორციელდა ცვლილებები ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სამტატო განრიგში, რომლის მიზანიც მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება იყო. კერძოდ, ხარისხის მართვის მენეჯერის პოზიცია გარდაიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტად, ბუღალტრის პოზიცია – ფინანსურ მენეჯერად, ხოლო რექტორის წარმოების სპეციალისტისა – რექტორის წარმოების მენეჯერად. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ თბილისისა და საჩხერის ფილიალები დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით. საჩხერის განყოფილებაში, ცენტრალიზებული მართვის პარალელურად, ადგილზე დასაქმებულნი არიან რექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტები, ასევე ტექნიკური პერსონალი. გარდა ამისა, ექსპერტმა დაადასტურა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურული მოწყობა და ანგარიშვალდებულება პირდაპირ რექტორთან გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას.

პერსონალის მართვის პოლიტიკაზე საუბრისას აღინიშნა, რომ პროცესები მიმდინარეობს კანონმდებლობისა და შინაგანაწესის სრული დაცვით. კადრების შერჩევა ხორციელდება გამჭვირვალედ, კონკურსის წესით, ხოლო დასაქმებულთა კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან, რაც დასტურდება პირადი საქმეების შესწავლით. აკადემიაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პერსონალის განვითარებას. ექსპერტის განმარტებით, აკადემიაში მოქმედებს თანამშრომელთა შეფასების გამჭვირვალე სისტემა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მექანიზმი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ფინანსური რესურსები. ბოლო 6 წლის განმავლობაში ჩატარებულია 75-ზე მეტი ტრენინგი. ექსპერტმა წარმოადგინა 2020–2025 წლებში განხორციელებული აქტივობების ვრცელი ჩამონათვალი, მათ შორის: ტრენინგები პირველადი დახმარების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების, შეფასების თანამედროვე მეთოდებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ასევე, პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ვებინარებსა (Erasmus+) და კონფერენციებში.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ აკადემია კანონმდებლობის შესაბამისად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებლების კარიერულ წინსვლას. დანერგილია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმი, რაც გულისხმობს მენტორინგსა და გზამკვლევებით უზრუნველყოფას. გარდა ამისა, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის ინიციატივები, რაც ეფუძნება რეგულარულ კვლევებსა და უკუკავშირს. შეფასების შედეგად, მეოთხე სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით, ქეთევან ბოტკოველმა დეტალურად მიმოიხილა დაწესებულების ინფრასტრუქტურული და ფინანსური მზაობა. მისი განცხადებით, აკადემიის საქმიანობა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სამ (წერონისის ქ. №208, ცოტნე დადიანის ქ. №28, გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი №10) და საჩხერის ერთ (ივ. გომართელის ქ. №50ა) ლოკაციაზე. ყველა ფართი ან აკადემიის საკუთრებაშია, ან აღებულია

გრძელვადიანი იჯარით. ინფრასტრუქტურა, მათ შორის ადაპტირებული სანიტარული კვანძები და საერთო სარგებლობის სივრცეები, სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის. შენობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, უწყვეტი წყალმომარაგებითა და ვენტილაციით.

უსაფრთხოების ნორმებზე საუბრისას, ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა გ. ქუთათელაძის ქუჩაზე მდებარე ფილიალთან დაკავშირებულ საკითხზე: თავდაპირველად თვითშეფასებისას აღნიშნული იყო ხარვეზი სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, თუმცა ვიზიტის პერიოდში აკადემიამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, რითაც ინდიკატორი სრულ შესაბამისობაში მოვიდა. ასევე, ყველა ლოკაციაზე დაცულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები – შეძენილია ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორები (AED), პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგი, ხოლო შენობების პერიმეტრს იცავს დაცვის სამსახური და ვიდეომონიტორინგის სისტემა.

საინფორმაციო რესურსების ნაწილში, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ აკადემიის IT ინფრასტრუქტურა – კომპიუტერული ლაბორატორიები, ლიცენზირებული პროგრამები და ინტერნეტი – სრულად პასუხობს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს. საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დაცვით, რისთვისაც დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა „eFlow“. ექსპერტის თქმით, დაცულია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და ფუნქციონირებს მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტი. საზოგადოებასთან ურთიერთობა იმართება მიზანმიმართულად: ფუნქციონირებს ორენოვანი ვებგვერდი და სოციალური ქსელები, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა სანდო ინფორმირებას.

ფინანსური რესურსების მიმოხილვისას ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულება ფინანსურად მდგრადია. აკადემიის ბიუჯეტი, რომელიც ძირითადად ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებასა და სწავლის საფასურს, სრულად უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას, ასევე, საოპერაციო ხარჯების დაფარვას. დაწესებულება რეგულარულად ახდენს ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას და წარადგენს ანგარიშგებებს შესაბამის სამსახურებში. შეფასების შედეგად, მეხუთე სტანდარტი სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ადმინისტრაციული სერვისები“

ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ (0413). პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის №28-სა და წერონისის ქ. №208-ში, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 90. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 92-ს (ინტეგრირებული) და 70-ს (არაინტეგრირებული), ხოლო არაქართულენოვანთათვის – 122-ს და 100-ს. ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტმა დეტალურად განიხილა პროგრამის შესაბამისობა მე-2 სტანდარტთან („საგანმანათლებლო პროგრამები“). მისი განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება (2.1) განხორციელდა აკადემიის მეთოდოლოგიის სრული დაცვით. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას, რომელიც ადასტურებს ადმინისტრაციული კადრების დეფიციტს. პროგრამა შემუშავებულია რექტორის 2024 წლის 30 აპრილის №2/43 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 7 მაისს. დაშვების წინაპირობები და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის

მეთოდოლოგია სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. 2025-2026 სასწავლო წლისთვის პროგრამაზე უკვე ჩაირიცხა 21 სტუდენტი (ინტეგრირებული) და 62 სტუდენტი (არაინტეგრირებული).

საგანმანათლებლო რესურსების (2.2) ნაწილში აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური ბაზით როგორც აკადემიის ტერიტორიაზე (A და B გარემოები, კომპიუტერული ლაბორატორიები), ისე პარტნიორ ორგანიზაციებში (შპს „ორიენტირი“ და საჯარო სკოლები), სადაც ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამას ემსახურება 56 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა და კომპეტენცია უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას. სსსმ და შშმ პირებისთვის ადაპტირებულია გარემო და რესურსები, ხოლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია ვაუჩერული დაფინანსებითა და გაწერილი ბიუჯეტით.

ქეთევან ბოტკოველმა ასევე ისაუბრა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე (2.3). მისი თქმით, მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი („დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე“), რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. თუმცა, რადგან სასწავლო პროცესი ახალი დაწყებულია (2025 წლის ნოემბერი), სტუდენტთა გამოკითხვა ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ გასაუბრებლას მათ დააფიქსირეს კმაყოფილება.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასების (2.4) კუთხით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლება მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმით, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით (მოქნილი გრაფიკი, ჰიბრიდული მეთოდები). აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მის ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების/სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლებლობისთვის აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე; მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც ჩართულნი არიან დარგის ექსპერტები. მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება სტუდენტთა განვითარებისთვის. საერთო ჯამში, პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ფარმაცია (სააფთიაქო)“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ (კოდი 0916). პროგრამა ხორციელდება ორ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (გურამ ქუთათელაძის I გასასვლელი №10) და ქალაქ საჩხერეში (ივანე გომართელის ქ. №50ა, 52). სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით.

ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა პროგრამის პარამეტრებსა და სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობებზე: თბილისის ფილიალში მოთხოვნილია 150 სტუდენტი. კრედიტების რაოდენობა შეადგენს 120-ს (ქართულენოვანთათვის) და 150-ს (არაქართულენოვანთათვის). საჩხერის ფილიალში მოთხოვნილია 120 სტუდენტი. კრედიტების რაოდენობა ანალოგიურია – 120 (ქართულენოვანი) და 150 (არაქართულენოვანი).

ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, პროგრამის დაგეგმვა დაეფუძნა შრომის ბაზრის (განსაკუთრებით გლდან-ნაძალადევისა და საჩხერის რეგიონების) კვლევას, რომელმაც დაადასტურა ფარმაცევტებზე მაღალი მოთხოვნა. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და სრულად პასუხობს აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და სასწავლო გარემოს (2.2). ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე ლოკაცია აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სივრცეებით: თბილისში მოწყობილია A გარემო (თეორიული სწავლებისთვის), B გარემო (კომპიუტერული კლასი), A/C 1 გარემო (ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია) და A/C 2 გარემო (ფარმაცევტული ლაბორატორია/სიმულაციური ავთიაქი). საჩხერეში (სადაც აშენდა ახალი, 2900 მ² ფართობის საგანმანათლებლო ჰაბი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი) ფუნქციონირებს: A/C 1 გარემო (ქიმიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია გამწოვი კარადებით), A/C 2 გარემო (სიმულაციური ავთიაქი) და B გარემო (კომპიუტერული კლასი).

ექსპერტმა ხაზი გაუსვა პარტნიორობის მდგრადობას: თბილისში გაფორმებულია მემორანდუმი შპს „პსკ“-სთან (2031 წლამდე), რომელიც მზადაა მიიღოს 150 სტუდენტი, ხოლო საჩხერეში – „პსკ ფარმა“-სთან, რომელიც უზრუნველყოფს 120 სტუდენტის პრაქტიკას საჩხერესა და ჭიათურაში. პროგრამას ემსახურება კვალიფიციური პერსონალი (თბილისში 28, საჩხერეში 28 მასწავლებელი).

უსაფრთხოებისა და პროცესის ორგანიზების კუთხით (2.4) აღინიშნა, რომ ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების წესები, გამოკრულია ინსტრუქციები და გაფორმებულია ხელშეკრულება ნარჩენების მართვაზე შპს „სანიტარ“-თან. აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მის ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების/სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლებლობისთვის აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. აკადემია ასევე უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლებასა და რესურსებს. საერთო ჯამში, პროგრამა „ფარმაცია (საავთიაქო)“ სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „აღმზრდელი“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ (კოდი 0112) ხორციელდება ორ ქალაქში, სამ ლოკაციაზე: ქალაქ თბილისში (წერონისის ქ. №208 და გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი №10) და ქალაქ საჩხერეში (ივანე გომართელის ქ. №50ა, 52). სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით.

ექსპერტმა ისაუბრა სტუდენტთა რაოდენობებსა და კრედიტებზე: თბილისის ფილიალი: 140 სტუდენტი. საჩხერის ფილიალი: 60 სტუდენტი. კრედიტები: ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის) – 116 კრედიტი, ხოლო არაინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის) – 146 კრედიტი. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტებს.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) ნაწილში ექსპერტმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევებს, რომლებიც ადასტურებენ სკოლამდელი აღზრდის სფეროში კვალიფიციურ კადრებზე მზარდ მოთხოვნას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

ვრცლად იქნა განხილული მატერიალური რესურსები (2.2). თბილისსა და საჩხერეში მოწყობილია შესაბამისი სასწავლო გარემო: თბილისი (წერონისის ქ.) – A გარემო (45 სტუდენტზე) და B გარემო (30 კომპიუტერით). თბილისი (ქუთათელაძის ქ.) – A გარემო (37 სტუდენტზე) და B გარემო (30 კომპიუტერით). საჩხერე – A გარემო (30 სტუდენტზე) და B გარემო (30 კომპიუტერით).

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან: თბილისში – თანამშრომლობა მიმდინარეობს №9, №49, №46, №43, №31 და №96 საბავშვო ბაგა-ბაღებთან (თითოეული უზრუნველყოფს 25 სტუდენტის მიღებას). საჩხერეში – გაფორმებულია მემორანდუმი ა(ა)იპ „გაერთიანებულ ბაგა-ბაღებთან“, რომელიც აერთიანებს 21 ფილიალს და მზადაა მიიღოს 30 სტუდენტი.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალი: თბილისში დასაქმებულია 51 მასწავლებელი (33 პროფესიული, 18 ზოგადი), ხოლო საჩხერეში – 18 მასწავლებელი (13 პროფესიული, 5 ზოგადი). ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გარემო ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირებისთვის და შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მექანიზმი.

ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების (2.3, 2.4) ნაწილში ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ აკადემიაში მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გააუმჯობესე“ (PDCA) ციკლი. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, ხორციელდება ვერიფიკაცია დარგის ექსპერტების ჩართულობით. ფინანსური მდგრადობა გათვლილია მინიმუმ 13 სტუდენტზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სიცოცხლისუნარიანობას. შეფასების შედეგად, პროგრამა „აღმზრდელი“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „საბაჟო საქმე“

მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ (კოდი 1032) ხორციელდება ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. №28-ში. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (2.1) ნაწილში ექსპერტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის მრავალმხრივ კვლევას, მათ შორის ლოგისტიკური და საბაჟო სფეროს კომპანიების გამოკითხვას. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე და მოიცავს 3 ზოგად და 16 სპეციალიზაციის მოდულს. დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

მატერიალური რესურსების (2.2) მიმოხილვისას აღინიშნა, რომ თბილისში (ც. დადიანის ქ. №28) მოწყობილია შესაბამისი სასწავლო გარემო: A/C გარემო (აუდიტორია №5) – აღჭურვილია 28 სტუდენტის სამუშაო ადგილით. B გარემო (აუდიტორია №8) – აღჭურვილია 24 კომპიუტერთა და შესაბამისი ტექნიკით.

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „გაკო ტერმინალი“ და სსიპ შემოსავლების სამსახური. თითოეულ მათგანს ერთდროულად შეუძლია 24 სტუდენტის მიღება. პროგრამას ემსახურება 15 მასწავლებელი (6 პროფესიული, 7 ზოგადი), რაც უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას.

სასწავლო პროცესისა და შეფასების (2.4) ნაწილში ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სწავლება მიმდინარეობს 2 წლის განმავლობაში, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მის ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების/სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლებლობისთვის აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. დაცულია უსაფრთხოების ნორმები როგორც აკადემიაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და ვალიდური, ხორციელდება შიდა ვერიფიკაცია. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური საჭიროებები სსსმ პირებისთვის. შეფასების შედეგად, პროგრამა „საბაჟო საქმე“ სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ტვირთების ექსპედირება“

მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ (კოდი 0413) ხორციელდება ქალაქ თბილისში, ორ მისამართზე: ცოტნე დადიანის ქ. №28 და წერონისის ქ. №208. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით.

პროგრამის დაგეგმვის (2.1) ნაწილში ექსპერტმა ხაზი გაუსვა გადაწყვეტილების დასაბუთებულობას. მისი თქმით, პროგრამა ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს, როგორც „შუა დერეფნის“ (Middle Corridor) სტრატეგიულ როლს. სტატისტიკური მონაცემებით, 2023 წლის პირველ კვარტალში ტვირთების მოცულობამ 3,1 მლნ ტონა შეადგინა, ხოლო კონტეინერების გადამუშავება 54%-ით გაიზარდა, რაც ადასტურებს კვალიფიციურ ექსპედიტორებზე მზარდ მოთხოვნას. პროგრამა მოიცავს 3 ზოგად და 7 სპეციალიზაციის მოდულს. დაშვების წინაპირობები დიფერენცირებულია: საბაზო განათლება (ინტეგრირებულზე) და სრული ზოგადი განათლება (არაინტეგრირებულზე).

მატერიალური რესურსების (2.2) მიმოხილვისას აღინიშნა, რომ აკადემიას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა:

წერონისის ქ. №208: B გარემო (აუდიტორია №7) – აღჭურვილი 28 კომპიუტერითა და სპეც-პროგრამებით; A გარემო (აუდიტორია №9) – 28 სტუდენტზე.

ცოტნე დადიანის ქ. №28: AC გარემო (აუდიტორია №12) – მეცნიერება და ტექნოლოგიები; A გარემო (აუდიტორია №11) – ინტეგრირებული მოდულებისთვის.

პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „გაკო ტერმინალი“(30 სტუდენტი), შპს „მინიმარტი“(10 სტუდენტი), შპს „მინტრანსი“(2 სტუდენტი) და საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვათა ასოციაცია(15 სტუდენტი). პროგრამას ემსახურება 56 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას.

სასწავლო პროცესისა და შეფასების (2.4) კუთხით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სწავლება მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მის ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების/სწავლის შედეგების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლებლობისთვის აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე, ხოლო ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსებით. შეფასების შედეგად, პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – „ელექტრობა“

მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ (კოდი 0713) ხორციელდება ქალაქ თბილისში, წერონისის ქ. №208-ში. სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით.

პროგრამის დაგეგმვის ნაწილში ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კვლევებმა აჩვენა კვალიფიციური ელექტრიკოსების მზარდი დეფიციტი, რაც გამოწვეულია მასშტაბური ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტებით. პროგრამის განხორციელება აღიარებულია დამსაქმებელთა, მათ შორის „ენერგო პრო ჯორჯიას“ მიერ. დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება.

მატერიალური რესურსების (2.2) მიმოხილვისას აღინიშნა, რომ აკადემიას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა: B გარემო (აუდიტორია №7) – აღჭურვილია 28 კომპიუტერით, სადაც ინსტალირებულია ტვირთების გადაზიდვების მართვის (სავარაუდოდ, აქ იგულისხმება

